ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 18 1883—1894 14 ოქტომბერს.

შინაარსი: მთელი დასავლეთის საქართველოის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში.—წიგნთსაცავის დაარსება ს. ამბროლაურს.—მკირე შენიშვნა.—ზოგჯერ სიზმარიც ახდება.— განმანათლებელი ნაყოფი მცხეთის წმ. ნინას დედათა სავანისა (გაგრძელება).—ნეკროლოგი.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—იოსებ მშვენიერი.—რედაქციის პასუხი.—შეწირულებანი.

მთელი დასავლეთის საქართველოის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება ქ. ქუთაისში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, სექტემბრის 27, 28, 29, 30 და ოქტომბრის 1 რიცხვებში ქ. ქუთაისში დანიშნული იყო დასავლეთის საქართველოის სამღვდელოების დეპუტატების კრება ახლად დაარსებული ქუთაისის სასულიერო სემინარიის შესახებ. ეს კრება პირველია ამ ახლად დაარსებული სასულიერო სემინარიის შესახები საქმეებისა გამო. ქუთაისში სემინარია არსდება დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებისათვის და ამიტომ სამღვდელოების წარმომადგენლებიც მოწოდებულნი იყვნენ იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებიდამ. უწმიდესი სინოდი სთხოვს დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებას, შეატყობინოს, თუ რა შემწეობას ამოუჩენს იგი მთავრობას თავისი საკუთრებისაგან სემინარიისათვის საჭირო შენობის აგების და მისი შენახვის საქმეში და ან რა წყაროებზე მიუთითებს სამღვდელოება მთავრობას, რომ ამ წყაროებიდგან შეიძლოს მთავრობამ ახლად დაარსებული სემინარიის შენახვა.

სექტემბრის 27, დღით სამშაბათს, დეპუტატები შეკრიბნენ ქუთაისის სასულიერო

სასწავლებლის ერთ დიდ დარბაზში. გურია-სამეგრელოდამ ამ დღეს გამოცხადდა 30 დეპუტატი და იმერეთიდამ 40. როცა გურია-სამეგრელოის ეპარქიის დეპუტატებმა დაინახეს, რომ იმერეთის ეპარქიიდგან უფრო ბევრი დეპუტატები იყვნენ მოსული, განაცხადეს, რომ მალოვის კენჭის ყრის დროს იმდენივე ხმა მიეცათ, რამდენი დეპუტატიც იმერეთიდამ იყო. ამ კითხვამ კაი ბაასი გამოიწვია დეპუტატებ შორის. როცა ყოვლად სამღვდელო გაბრიელს აცნობეს დეპუტატების შეკრება, მათი მეუფება და ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოისა გრიგორი შემობრძანდენ კრებაში, ყოვლად სამღვდელოებმა საჭირო დარიგება მისცეს სამღვდელოებას და შემდეგ წაბრძანდენ კრებიდგან. ამ დღეს კრება არ შემდგარა.

28 სექტემბერს, დილით შეიკრიბნენ დეპუტატები. გურია-სამეგრელოს დეპუტატებმა წარმოადგინეს ყოვლად სამღვდელო გრიგორისაგან ხელმოწერილი სია დეპუტატებისა. ამ სიაში აღნიშნული იყო 50 დეპუტატი, ნაცვლად 30 კაცისა. რადგან სია ხელმოწერილი იყო ყოვლად სამღვდელოსაგან, ამიტომ ამ სიაში მოხსენებულ დეპუტატებ-სათვის აღარ მოუთხოვნიათ რწმუნების ქაღალდები, სამღვდელოებისაგან მიცემული. ამ დროს კრებაში შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, რომელმაც შემდეგი სიტყვით მიმართა დეპუტატებს: „გუშინ თქვენ, როგორც გავიგე, ლაპარაკი გქონიათ სემინარიის ადგილის შესახებ, ეს კითხვა თითქმის გათავებულია და საჭირო აღარ არის, ამაზე მსჯელობა იქონიოთ. შუა ქალაქში სემინარიისათვის შესაფერი ადგილი არ მოიშოვება და ჯიდეც რომ იშოვებოდეს, არც უმაღლესი სასულიერო მთავრობა დათანხმდება შუა ქალაქში სემინარიისათვის შენობის აგებას. რაც შეეხება განაპირა ადგილებს, უველას ისევ ეს გორა სჯობია. ჩემგან დანიშნული ადგილი დაათვალიერა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა ბ. საბლერმა და მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმერმა და ორთავემ მოიწონა. თუ, ვინიცობაა, დასახელებული ციხე რაიმე მიზეზისა გამო არ ივარგებს სემინარიისათვის, მაშინ აქვე, ამ ციხის მახლობლად არის საეკლესიო ადგილი, ეგრედ წოდებული ლოდაბერიძისა, სადაც შეიძლება სემინარიის აღშენება და ამ ადგილის მოსაპოებლად არც ბევრი რამ ხარჯი დასჭირდება სამღვდელოებას. ამისთვის გირჩევთ, რომ უბრალოდ დროს ნუ დაკარგავთ და პირ-და-პირ საჭირო კითხვების განხილვას შეუდეგით. რომ უკეთესი ადგილი მოინახებოდეს სადმე, მეც სრული თანახმა ვიქნები, რომ იქ გაკეთდეს სემინარიის შენობა. მე ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება მქონდა ქალაქის თავთან, რომელმაც მითხრა, რომ ქალაქს სემინარიისათვის შესაფერისი ადგილი არა აქვსო ქალაქში. არც ქალაქის თავს და არც სხვა ვისმეს ჯერეთ ჩემთვის ამისთანა ადგილი არ უჩვენებიათ». ამ სიტყვის გათავების შემდეგ მათი მეუფება წაბრძანდა. დეპუტატების რწმუნების ქაღალდების შემოწმება და კრების თავმჯდომარის არჩევის წარმოების საქმე კრებამ მიანდო ბლაგოჩინს დეკანოზს მ. იოსებ—ვაცაძეს. თავმჯდომარის ადგილზე კრებამ ერთხმად დაასახელა დეკანოზი დავით ლამბაშიძე. მ. ლამბაშიძემ უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ კრების თხოვნას დათანახმდა და მოითხოვა აღერჩიათ იგი დაფარული კენჭის ყრით და არა ხმით, რადგან კანონით კრების თავმჯდომარე დაფარული კენჭის ყრით უნდა აღირჩეს და არა ხმითაო. მოხდა დაფარული კენჭის ყრა. მ. ლამბაშიძე აღრჩეულ იქმნა 87 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 ხმისა. თავმჯდომარის არჩევის შესახებ შემდგარი ქურნალი ბლაგოჩინმა დეკანოზმა მ. იოსებ ვაცაძემ დეკანოზს ლამბაშიძეს გარდაცა. მ. ლამბაშიძემ მადლობა შესწირა კრებას იმ ერთხმობითი რწმუნებისა და ნდობისათვის, და ისიც დაფარელის კენჭის ყრით, რომელიც მთელმა კრებამ აღმოუჩინა მასს და მიმართა დეპუტატებს სიტყვით:

მ.მ. დეპუტატნო! სანამ ოფიციალურად კრება გაიხსნებოდეს, ჩვენ შეგვიძლია შინაურულად, ძმურად გავცნოთ ერთი ერთმანეთს ჩვენი აზრი, ჩვენი გულის პასუხი, ჩვენი გაჭირვება და დაღხინება საზოგადო საქმეების შესახებ. როდესაც საზოგადო საქმე წინ-დაწინვე კარგად გამორკვეული და შეგნებული იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ამ საქმის შესახებ განჩინების დადგენაც განონიერი და რიგიანი იქნება. თუ კრებამ წინდაწინვე რიგიანად ვერ გამოარკვია საქმე, ვერც რიგიან განაჩენს დასდებს ამ საქმის შესახებ.

ალბად ყველას მოგეხსენებათ, თუ რისთვის მოგვიწვია ადგილობითმა სასულიერო მთავრობამ ჩვენ, ორი დამოუკიდებელი ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელნი. ჯერ კიდევ ყველას კარგად გვახსოვს, რომ თვითონ ჩვენ ამას წინეთ ერთობით ბევრს ვცდილობდით ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნას და ამ საქმისათვის არც შესაფერი ხარჯის გამოღებას ვერიდებოდით. დღეს, ღვთის მადლით, თითქმის ჩვენდა გაუგებლად სემინარია დაგვიარსდა. ამიტომ დღეს, რასაკვირველია, დიდი მოფიქრება და გამჭრიახობა გვმართებს, რომ ჩვენი მსჯელობა და ზრუნვა ამ ახლად დაარსებული სასწავლებლის შესახებ რიგიანი და შესაწყნარებელი იქნეს. ჩვენ ამ კრებაზე უნდა დავადგინოთ და ვაცნობოთ სასულიერო მთავრობას, თუ რა შემწეობას აღმოუჩენთ ამ სემინარიას ჩვენის საშუალებიდამ და ან რა წყაროების აღმოჩენა შეიძლება სემინარიის დასახმარებლად. როგორც ვიცით, ერთ დროს სამასი ათასი მანეთის შეწევნას დავპირდით მთავრობას, თუ ქუთაისში სასულიერო სემინარია გაიხსნებოდა. დღეს რომ რაიმე შემწეობა ვერ აღმოუჩინოთ ამ სემინარიას, რას იფიქრებს ჩვენზე ან მთავრობა და ან საზოგადოება? ჩვენი სამღვდელოების დღევანდელი მდგომარეობა საზოგადოდ და კერძოდ დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებისა ისეთი არის, რომ საეჭვოა ამ სამღვდელოებას რაიმე დიდი შემწეობის აღმოჩენა შეეძლოს. მართალია, დასავლეთის საქართველოის სამღვდელოება წინეთ პირდებოდა მთავრობას შემწეობას, მაგრამ იმ დროიდგან დღემდე მეტად დიდი მოთხოვნილება აღმოუჩნდა სამღვდელოებას. ყველა ეს მოთხოვნილებანი ჩვენ უნდა დაწვრილებით გამოვარკვიოთ და ვაცნობოთ უმაღლეს მთავრობას, რომ მან შეიტყოს ჩვენი მდგომარეობა და შემწეობა აღმოგვიჩინოს, მაგრამ ჩვენის მხრითაც საჭიროა, შეძლებისა და გვარად, არ დავიშუროთ ჩვენი შეწირულება.

ამასთან ნუ დაივიწყებთ, მამანო, რომ სოფლის მღვდელი მიყრუებულ ადგილას ხვდება ბევრ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომელნიც მას ხელს უშლიან, რომ უკანასკნელმა თავის მოვალეობა სინდისიერად აღასრულოს. სწორედ ამისთანა შემთხვევის დროს საშუალება გვეძლევა, რომ ერთად და მშვიდად მოვილაპარაკოთ ერთმანეთში და ერთად გამოვსძებნოთ სხვა-და-სხვა ღონე და საშუალებანი ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, მოვიფიქროთ და გამოვნახოთ სხვა-და-სხვა ზომანი სარწმუნოების და კეთილ ზნეობის ასამაღლებლად ხალხში. ერთი საუკუნის განმავლობაში რიგია, რომ სამღვდელოებამ თავისი მოღვაწეობით შესამჩნევი კვალი დაამჩნიოს ცხოვრების ასპარეზზე. აბა თვალი გადავავლოთ ჩვენს წარსულ ცხოვრებას. როგორ მოღვაწეებს ვხედავთ იმ დროებში? ერთი ბერძნული ენიდგან სთარგმნიდა საღმრთო-საკაცებო წიგნს, მეორე სლავიანური ენიდამ, მესამე ვრცელს გულვანებს და სხვა საეკკლესიო წიგნებს სწერდენ ხელით დაავრცელებდნენ ეკკლესიებსა და მონასტრებში. დღეს რას ვხედავთ? დიდს ვერაფერს. აგერ ასი წელიწადი გადის, რაც ჩვენი სამღვდელოება სტკბება მოსვენებული ცხოვრებით, მაგრამ შესამჩნევი ღვაწლი მათის მხრით არა აჩნია რა ცხოვრების ასპარეზზე. ამას იმისათვის მოგახსენებთ, რომ ვისარგებლოთ ამისთანა შემთხვევებით და ჩვენ პირად საქმეებს გარდა ისეთ საქმეებზედაც მოვილაპარაკოთ, რომელნიც პირადად ჩვენს მოვალეობას შეეხებიან.

ამასთან გულით და სულით გთხოვთ ყველას, რომ ჩვენი მსჯელობა იქმნეს მშვიდი და სწარმოებდეს თანხმობით, რომ მიზეზი არ მივსცეთ მათ, რომელნიც ჩვენ შორის უთანხმოებას ეძიებენ და ამ უთანხმოებით სარგებლობენ.

კრება გადაიდვა საღამოის ექვს საათამდის. საღამოს ექვს საათზედ კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარემ პირველად წაიკითხა წინადადება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა უწმიდესი სინოდის უქაზზედ დამყარებული შესახებ სამღვდელოების მხრით შემწეობის და სხვა-და-სხვა წყაროს აღმოჩენისა სემინარიის სახლის ასაშენებლად და მის შესანახავად. ამ წინადადებაში, სხვათა შორის, იყო მოხსენებული, რომ ადგილი სემინარიის სახლის ასაშენებლად აღმოჩენილი არქიელის გორაზედო. ბატონმა საბლერმა და ექსარხოსმა დაათვალიერეს ეს ადგილი და მოიწონესო. თუ ეს ადგილი ვიწრო აღმოჩნდა სემინარიის სახლის ასაშენებლად, მაშინ შეგვიძლია აქვე მოვიპოვოთ საეკკლესიო ადგილი ესრეთ წოდებული ღოღობერიძეებისა. ამ ადგილზე სემინარიის შენობა კარგად მოთავსდება. წყალი უთუოდ გამოყვანილი იქ-

ნება და გზა ხომ კეთდება და ეს არის. ამ წინადადების შემდეგ დაიწყო გაცხარებული ბაასი დეპუტატებს შორის. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატები გარდა ორიოდე დეპუტატისა, რომელნიც ქუთაისში სცხოვრობენ, თანახმა იყვნენ გორაზედ სემინარიის აღშენებისა. ამ ორ დეპუტატს მიემხრენ ლეჩხუმის და სენაკის მაზრის უმეტესი სამღვდელოება. ზუგდიდის და ოზურგეთის სამღვდელოება და რამდენიმე სენაკისა რიცხვით 30 დეპუტატამდე ორმოც-და-ათ დეპუტატზე წინააღმდეგნი იყვნენ გორაზედ სემინარიის აღშენებისა. ესენი პირ-და პირ თხოულობდენ, რომ სამღვდელოებას მიცემოდა უფლება თავისი სურვილისამებრ აღმოერჩია ადგილი სემინარიის სახლის აღსაშენებლად. თვრამეტი ბლაღოჩინი ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრათა მაინც ერთობ ნამეტნავად ცხარობდნენ და ხშირად კითხავდნენ თავსმჯდომარეს: ვინ წაგვართვა ჩვენ უფლება ადგილის გამორჩევისა? ფულები გვეთხოვება და ადგილის გამორჩევა არა, განა იქნება ეს? როგორ შეიძლება ეს? თავსმჯდომარემ არა ერთ გზის გამოუცხადა მათ, რომ ადგილის ამორჩევის უფლება მათთვის არავის წაურთმევია და მთავრობა მადლობელი იქნება, თუ სადმე რიგიან ალაგს ამოარჩევთ და მოიპოებთ თქვენის საშუალებით. გთხოვთ დაასახელოთ, სად შეგიძლიათ აღმოარჩიოთ ადგილი. ხსენებული დეპუტატები აცხადებენ: ჩვენ ამოვირჩევთ კომმისიას და ის ამოარჩევს ადგილს ქუთაისშივე. უთანხმოების მოსასპობლად ამ აზრზე დასთანხმდა ნამეტანი ნაწილი კრების დეპუტატებისა და დაასახელეს კიდეც თითო კაცი თითო მაზრიდამ კომმისიის შესადგენად.

შემდეგ შეუდგნენ სემინარიისათვის შემწეობის აღმოჩენის კითხვას. აქ დაწვრილებით გამოირკვა ნივთიერი მდგომარეობა დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებისა საზოგადოდ და კერძოდ თვითეული სამი სამასწავლებლო ოლქისა.

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანს სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებმა განაცხადეს: სემინარიის სამუდამო შესანახავად შეგვილია უჩვენოთ მთავრობას: 1) წმინდა სანთლის ქარხნის შემოსავალი; 2) ის 7500 მ., რომელიც ყოველ წლობით იგზავნება თბილისის სემინარიის პანსიონერების და პარალელური კლასების შესანახავად; 3) იმერეთის სამღვდელოება სწირავს ქუთაისის სასულიერო სემინარიის შესანახავად იმ 12,000 მანეთს, რომელიც გადარჩა იმ ფულებიდამ, რომელსაც ჰკრებდა იმერეთის სამღვდელოება წინა დროებში მოსავალი სემინარიისათვის. ხსენებული 12000 მან. ინახება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში ბანკის ბილეთებით; 4) იმერეთის სამღვდელოება სწირავს ერთ დროებითად ხუთ ხუთ მანეთს თითოეული შტატის ეკლესიიდამ; ამ ხუთ მანეთში 2 მ. 50 კ. თავის საკუთრებიდამ და 2 მ. 50 კ. ეკლესიების შემოსავლიდამ; 5) იმერეთის სამღვდელოება სწირავს ქუთაისის სემინარიის შესანახავად იმ ფულებს, რომელიც იმერეთის საეკლესიო ხაზინიდამ იგზავნება თბილისის სასულიერო სემინარიის პანსიონერთა და პარალელური კლასების შესანახავად და რომელი ფულებიც დაუხარჯავი დარჩა, ვინაიდგან თბილისის სემინარია დახურულია 4 დეკემბრიდამ 1893 წ. იმერეთის სამღვდელოება სულით და გულით მსურველია უმეტესი შემწეობა აღმოუჩინოს ქუთაისის სემინარიას, მაგრამ არ შეუძლია, ვინაიდგან ეს სამღვდელოება ყოველ წლობით 13000 მან. იხდის ქუთაისისსა სულიერო სასწავლებლის შესანახავად; გარდა ამისა თავისი საკუთარის ხარჯით ინახავს ქუთაისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელს, რომლის შესანახავად სამღვდელოება არავითარ შემწეობას არ ღებულობს არც იმერეთის საეკლესიო და არც სახელმწიფო ხაზინიდამ. ამავე სასწავლებლისათვის იმერეთის სამღვდელოებას შეაქვს ფული სამუდამო თანხის შესადგენად, რომლის სარგებელს შეეძლოს სასწავლებლის სამუდამოდ უზრუნველ ყოფა.

(შემდეგი იქნება).

წიგნთ-საცავის დაარსება ს. ამბროლაურს (რაჭაში)

კაი ხანია ამბროლაურში წიგნთ-საცავის დაარსებას მეცადინობს ნიკორწმიდის საბლალოჩინო მაზრის ბლალოჩინი მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი. დღეს იმ ზომამდე მივიდა ეს საქმე, რომ, იმედია, სასურველი წარმოება მიეცეს წიგნთ-საცავის დაარსების საქმეს. ამ საქმეში გულითადი მონაწილეობა მიიღეს სადბელის მაზრის ბლალოჩინმა მათე გორდეზიანმა, ამავე საბლალოჩინოის მღვდელმა ვლადიმირ ფოფხაძემ და მღვდლის შვილებმა ლორთქიფანიძემ და მიქელმა; ეს სამი კაცი და დამაარსებელი ამხანაგობისა შეუდგენ როგორც ამხანაგობის წევრთა შეკრებას, ისე წიგნთ-საცავის წესდების შედგენას. ბლალოჩინის მ. გორდეზიანის შეგონებით მისი საბლალოჩინოის რამდენიმე მღვდელი და ერის კაცები ჩაეწერენ ამხანაგობის წევრად. ეკენისთვის 14 ს ამბროლაურის საგლეხო კანცელარიაში ამხანაგობის 35 წევრნი შეიკრიბნენ წესდების გადასახედავად. ნაშუადღევის პირველ საათზედ შეუდგნენ წესდების კითხვას. კრებამ შემდგომ გრძელის ბაასისა წესდების ზოგიერთი მუხლები შესცვალა. საზოგადოების წევრად ყოფნა შეუძლია ყველა წოდების პირთ. ყველა წევრნი იყოფიან სამ დასად; პირველმა უნდა შეიტანოს სასარგებლოდ წიგნთ-საცავისა ყოველს წელს ხუთ-ხუთი მანეთი, მეორემ—სამ-სამი მანეთი და მესამემ თითო მანეთი. წესდების შესწორება გაგრძელდა ნაშუადღევის მესამე საათამდე. შემდგომ გაიმართა იქვე საღილი და საღილზედ აქაურის ჩვეულებისაებრ მოჰყვა სადღეგრძელოები; ბლალოჩინმა კანდელაკმა ადღეგრძელა ამხანაგობა და ისურვა ახალი დაწყებულის საქმის საზოგადოების სასარგებლოდ მსველელობა; ბოლოს ამხანაგობის წევრი თავადი ასლან ერისთავი წარმოდგა ხელში საგე ჭიქით და ადღეგრძელა დამაარსებელი ამხანაგობისა ბლალოჩინი კანდელაკი და სხვათა შორის, წარმოსთქვა: «მამაო ნიკიფორე! ჩვენ ერისკაცები ვფიქრობდით აქომამდე, რომ მღვდლები მარტო თავის სარგებლობისათვის ზრუნავდით, მაგრამ ამ ფიქრში მოტყუებული დავრჩით; ეხლა დავრწმუნდით თქვენის მოქმედებიდამ, რომ სამღვდელოება თავის სულიერი შვილებისათვის არას ზოგავთ, ოღონდ გაუთლებელმა ხალხმა წინ ნაბიჯი წადგას და უმეცრებას თავი დაახწიოს, მაგრამ ესეც სახეში უნდა გვქონდეს. მამაო, რომ ხალხის განათლება მღვდლებისათვისაც სასარგებლოა; თუ მრეველი შეგნებულია, მაშინ მღვდელს ამ გვარის ხალხის შეგონება უფრო გაუადვილდება და შრომაც უმსუბუქდება.

წევრებად ჩაწერილნი არიან ბ.ბ. რაჭის სუდის და პოლიციის ბოქაულები ნიკოლოზ მრეველიანი და ბესარიონ მდივანი. ამათი მონაწილეობა ამ საქმეს დიდ დახმარებას მისცემს, იმ დახმარებას კი არა, რომ აქ პოლიციის ანუ სუდის ძალა იყოს საჭირო, არამედ მათ ვითარცა თანამდებობის პირთ ბევრი იცნობსთ და წევრების განმრავლებაში ალმოუჩენენ ამ დაწესებულებას შემწეობას.

წიგნთ-საცავის ბინად იქვე აფთიაქარმა, როგორც ვგონებ, უფასოდ უთავაზა ერთი პატარა ოთახი, ვიდრე ამხანაგობა შეიძლებდეს საკუთარი სახლის აგებას ან დაქირავებას.

ამხანაგობის მიზანი ის არის, რომ მსურველმა იქვე წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, წევრებმა კი წაიღონ კერძო პირების დასარიგებლად ვადით, მაგრამ ერთიც და მეორეც უფასოთ. აქვე ამხანაგობა ფიქრობს წიგნის მაღაზიის გახსნასაც, მაგრამ არ ვიცი, როგორ წავა ეს საქმე. სასურველია,—რომ ერთიც და მეორეც ყოველი კაცის სასარგებლო იქნეს. ვინც კი მისწვდება, მაგრამ ჩემის ჰაზრით უკეთესი იქნებოდა ჯერ წიგნის საცავი განეხორციელებიათ, სული ჩაედგათ, ფეხზედ დაეყენებიათ და შემდეგ შეიძლებოდა შესდგომოდნენ მაღაზიის დაარსებას, თორემ ორს კურდღელს რომ კაცი გაეკიდა, ორივე წაუვა და მეშანია აქაც ისრე არ მოხდეს.

ამხანაგთაგანი.

მცირე შენიშვნა.

სტამბოლის ქართველთა კათოლიკე მონასტრის გაქურდვის შესახებ.

„დიდ არს უფალი მოშიშთა თვისთა ზედა, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ“.

ეს დიდად საგულისხმო სიტყვები, რასაკვირვე-ლია, ყველა ქრისტიანს ხშირად ესმის, მხოლოდ ვინ იცის, ვის როგორ ესმის და ან ვინ როგორ სთარგმნის, და მე კი ასე მგონია, რომ როგორც პირველი, ისე მეორე მახლობელი აზრისანი უნდა იყოს. ასე რომ თუ კაცს ღვთის შიში მტკიცეთ ჩაუნერგა გულში, იმისთვის ძრიელ საძნელოა ურიგო საქმის ჩადენა, და ეგრეთვე უკეთუ სარწმუნოება მტკიცე აქვს, ყოველივე მიემადლება მას.

ეს უკვდავი სიტყვები თუმცა სხვა-და-სხვა ნაირად არის ნათქვამი, მხოლოდ საზოგადოდ კი ერთსა და იმავე რწმუნებაზედ არის დამყარებული. ვინც თვალყურს ადევნებს ადამიანის ცხოვრებას, მას შეუძლია საბუთიანად დაინახოს ეს ჩემი აზრი ამ სიტყვების შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი სასწაული და გასაკვირველი ამბები ხდება მათ შორის, ვისაც ეს სიტყვები ჩანერგია ცხოვლად გულში, რის მნიშვნელობა შეიძლება არც კი ესმის მომქმედ პირს და ჩემის აზრით ვისაც მტკიცის და უმანკო აზრით არ დაუმარხავს გულში ეს სიტყვები, ის ვერც ამ რიგ სასწაულებრივს ამბავს ჩაიდენს, რაც აქ მოხდა და ხშირად სხვაგანაც მომხდარა.

წარსულს 1893 წლის გაზეთ «ივერიის» ერთ ნომერში იყო მოხსენებული, რომ აქაური ქართველ კათოლიკეთა მონასტერი გაქურდესო, მხოლოდ, როგორ გაქურდეს, ან ქურდები როგორ იპოვნეს, ამის ნამდვილი ამბავი არარავის გაუგია ჩვენში. სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია ეს ჩემი მცირე შენიშვნა და მომაგონა ამ წერილის სათავეში მოყვანილი უკვდავი სიტყვები.

როცა მონასტერი გაქურდეს და გაიტანეს ყოველივე ძვირფასი სამკაულები, რასაკვირველია, ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქაურ საზოგადოების შორის; ბევრი სასოწარკვეთილიც შეიქნა და ასე გაიძახოდენ: «როგორ იქნა და სასწაულთ მომქმედმა «ლურდის» ღვთისმშობელმა არ დააბრმავა ქურდები, რაღა სასწაულთ მომქმედიაო და სხვა.

ამ მონასტრის ბერები კი დარწმუნებული გაიძახოდენ: «ქურდი ჩვენ ვერას მოგვტაცებს, «ლურდის» ღვთისმშობელი დააბრმავებსო და სხვა.

მართლაც ასე მოხდა. რამოდენიმე დღის შემდეგ აქაურს კათოლიკე მისიონერს (ეპისკოპოსია) ამბავი და თხოვნა ვედრების წერილი მოუვიდა «შემიწყალეთ, წმიდა მამავო, მაპატიეთ შეცოდებანი, ყველა მოპარულს უკანვე დავაბრუნებ, თუ მაპატიებთო».

აი საქმე როგორ მომხდარა: ერთ საღამოს ლოცვის დროს, ერთი ძრიელ მორწმუნე კათოლიკე უცხოელის შვილი ეკკლესიის ერთ კუთხეში მიმალულა და შეუმჩნევლად დარჩომილა, როცა ყველანი დაიძინებენ — გამოცოცდება, მოჰკრებს, რაც რამ ძვირფასეულობას ფულს ან ნივთებს იპოვნის ეკკლესიაში, მერეთ გააღებს კარებს შიგნიდან, გაიარს და წავა შეუმჩნევლად. ეს კაცი ისეთი ადამიანი ყოფილა, რომ ვერასოდეს ეჭვსაც ვერავინ აიღებდა ამაზედ, მხოლოდ შემდეგ კი ეგევითარის თხოვნით მიჰმართავს კათოლიკების ეპისკოპოსს. ეპისკოპოსიც ყოველივე ნივთებს და ფულს უკლებლად მოატანინებს და გადასცემს მონასტერს და თვითონ ეცდება როგორმე საქმე ჩააფუჩეჩოს და აპატიებს კიდეც დამნაშავეს. მხოლოდ მთავრობის მოთხოვნილებით იძულებული გახდება ქურდი გამოაშკარავოს. მთავრობა იჭერს ქურდს, რომელიც მაშინვე ტყდება და დაწვრილებით უამბობს თავის თავგადასავალს. აი მისი ნათქვამი სიტყვები გამომძიებელთან: «მამა სახარჯოს არ მაძლევდა, ძრიელ ვიწროობაში ვიყავი ნივთიერად. ტოლ-ამხანაგების გაპირებით მოვსტყუვდი და ეს საქმე ჩავიდინე, მხოლოდ ამ საქმის ჩადენის შემდეგ ვერც დღე და ვერც ღამე თავისუფლად ვერ დავიძინე და ვერც მოვისვენე, სანამ მონსინიორს გამოუმცხადებდი, სიზმრები მაკრჩობდენ. თუმცა მე თვითონ ვცდილი, არ დაიმალებოდა, მთავრობა მომთხოვდა, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე, უმჯობესად ვსცანი გამემხილა და არ ჩავარდნილვიყავი როგორც სულიერს ეგრე ხორციელს წვალებაში, მე ვარ დამნაშავე, თავის გამართლებას არ ვფიქრობ — რაც მოხდა, ეს არის და ეხლა რაც გინდათ ის მიყავითო.

დაინიშნა გარჩევის დრო, კიდევ უფრო დაწვრილებით გამოიძიეს საქმე—ამხანაგებიც აუქმევინეს და სუყველას ერთად გარდაუწყვიტეს სასჯელი: პირველს, რომელმაც გამოზიდა საქონელი, ერთი წლის ნაობახი მიუსაჯეს და დანარჩენებს ოთხ-ოთხი თვით, სულ ოთხი კაცი ყოფილა დამნაშავე.

იასე რაჭველი.

ზოგჯერ სიზმარიც ახდება.

ის უბედურობა, რომელიც მოხდა «ვლადიმირის» დაღუპვის დროს შავს ზღვაზე, ჯერ კიდევ ყველას დაუვიწყარი აქვს. ყველას სურს შეიტყოს ნამდვილი ცნობა «ვლადიმირის» და «კოლუმბიას» დატაკების დროს დაღუპულ პირთა შესახებ. მე შევიტყე ერთი ფაქტი, რომელიც, ჩემის აზრით, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს. ვიჩქარი გაუზიარო ეს ამბავი სხვებსაც. რა არის ძილი? რა არის სიზმარი? საიდგან წარმოდგება სიზმარი?

აი კითხვები, რომელნიც დღემდის სინამდვილით გამოუკვლეველნი არიან სწავლულთაგან.

სიზმარს, რომელიც მე უნდა უამბო მკითხველებს, ნამდვილი კავშირი ჰქონდა იმ უბედურებასთან, რომელიც მოხდა შავს ზღვაზე.

პეტერბურგელები კარგად იცნობდნენ გამოჩენილს დეის. სტ. სოვეტნიკს ლ. ი. ლ—სკის, რომელსაც ამ ბოლო დროს შესამჩნევი ადგილი ეკავა ერთ სამინისტროში.

ამ მიმდინარე წლის დამდეგს ლ. ი. მეუღლეს ღამით შემოესმა რაღაცა ყვირილი თავის მეუღლის ოთახიდან. ის მაშინვე შევარდა ქმრის ოთახში და ნახა, რომ მისი მეუღლე იქნევს ხელებს, თითქოს მტრებს იგერებსო, ხან წყალში ჩავარდნილ კაცივით აქნევდა ხელებს. ამავე დროს ლი—სკი გაცხარებით ყვიროდა: მიშველეთ! მიშველეთ! და გაფაციცები ფორთხავდა.

ცოლმა გააღვიძა ქმარი, გამოჰკითხა მიზეზი, თუ რად ჰყვიროდა იგი? ლ—სკიმ უპასუხა: ვითომც დიდ ხომალდზე ვიჯექი, ხომალდი დაეტაკა მეორე ხომალდს, მე ზღვაში ჩავარდი და სხვა მოგზაურთან ერთად დავიღუპე.

ამ სიზმარმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ლ—ისკზე, რომ მან ეს სიზმარი მეორე დღეს ყველას უამბო სამინისტროში, ჩასწერა თავის დღიურში და ცოლს უთხრა:

— მე უსათუოდ ზღვაში დავიღუპები.

გავიდა სამი თვე.

ცოლ-ქმარს ეს სიზმარი თითქმის დაავიწყდათ.

სამინისტროის განკარგულებით ლ—სკი 25 მაისს გაემგზავრა სამხრეთ-რუსეთისაკენ სამსახურისა გამო. რკინის გზის სადგურზე ლ—სკი მიუბრუნდა ცოლს და უთხრა:

— შენ ხომ არ დაგვიწყნია ჩემი სიზმარი?

— მერე რაო?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ უკან ველარ დავბრუნდები.

ცოლი ანუგეშებდა ქმარს.

— ტყუილ უბრალოდ ხარჯავ სიტყვებს. მე ვგრძნობ, რომ სიზმარი ცხადათ ამიხდება. ტყუილად ნუ მარწმუნებ და ნუ მაიმედებ, მე არაფერი არ მიხსნის. მე ეხლა თვალწინ მიდგია ნავთ-სადგური, ხომალდი, ვხედავ, თუ როგორ ეტაკებიან ერთმანეთს ხომალდები და მეც როგორ ვიღუპები.

ცოლმა კიდევ მოინდომა ქმრის დამშვიდება.

— როცა მიიღებ ტელეგრამას ჩემი დაღუპვის შესახებ, შეაკერვინე სამგლოვიარო ტანთ-საცმელი, მაგრამ შლეიფს ნუ გაუკეთებ, რადგან მე შლეიფები, მეტად მეზარება!

ეს სიტყვები ისეთი დარწმუნებით წარმოთქვა ლ—სკიმ, რომ ცოლმა ტირილი მორთო.

ლ. ი. გაემგზავრა.

გავიდა რამდენიმე ხანი,

მოულოდნელად ლ—სკის ცოლმა გაზეთებიდგან შეიტყო „ვლადიმირის“ დაღუპვის ამბავი.

— ალბად ჩემი ქმარი დაიღუპა, სთქვა საწყალმა ქალმა და მაშინვე გაუგზავნა ტელეგრამა გენერალ-ლეიტ. ზელიონს ოდესაში.

რამდენიმე დღის შემდეგ აი რა პასუხი მიიღეს.

„არავითარი ცნობა ლ. ი. ლ—სკის შესახებ

ხელთ არა გვაქვს. ეს კი შეტყობილია, რომ ის „ვლადიმირზე“ იმყოფებოდა.

ამის შემდეგ საწყალმა ქალმა მალე მიიღო ოფიციალური ცნობა: ლ—სკი დაიღუპა, დაიხრჩო შავს ზღვაში, ვინაიდგან „ვლადიმირიდგან“ ზღვის ზვირთებში, გადავარდა.

აი კიდევ რა ესიზმრა ლ—სკის ამ უბედურების შესახებ.

ლ—სკიმ ნახა სიზმარში, რომ ის იხრჩობოდა მეორე მოგზაურთან ერთად.

ეს ნამდვილად ასეც მოხდა.

ვინმე ბ. გენიკემ, როცა «ვლადიმირიდგან» ზღვაში გადავარდა, ხელი ჩასჭიდა გუტაპერჩისაგან გაკეთებულ საშველებელ მილს. უეცრად მისცურა მასთან ლ—სკიმ.

— ხელს ნუ მოჰკიდებ ამ მილს; ეს მილი ორივეს ვერ გაიძლებს, და ორივენი დავიღუპებით, უთხრა,—უ. გენიკემ ლ. ი—ს.

მე კარგი ცურვა არ ვიცი, მიუგო ლ—სკიმ. თუ აგრეა, მაშ ისარგებლე ამ მილით, მე კი მოვსცურავ.

ზვირთებმა საუკუნოდ დააშორა ისინი.

უ. გენიკე გადარჩა, რადგან ნავამდის მისცურადაუწყეს ძებნა ლ—ისკის.

მაგრამ მისი გვამი დღესაც არ არის ნახული.

ამ გვარად სიზმარი სინამდვილით ახდა. (Пет. Лист. переп. въ Нов. Тел. № 6183).

განმანათლებელი ნაყოფი მცხეთის წმ. ნინოს დედათა სავანისა.

(ამ სავანესთან დაარსებულ დედათა სასწავლებლის აღწერა *).

> «ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა (მათ. V, 16 სტრ.).

კვირა-უქმე დღეებში მოსწავლე ქალები დადიან ეკკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად და დგანან მათთვის დანიშნულ ადგილზე ჩუმად და შესაფერად, ყურადღებით და კრძალვით ისმენენ საეკკლესიო წიგნების კითხვას და გალობას; მოსწავლე ქალები ეკკლესიაში შესვლის დროს კრძალვით ეამბორებიან წმ. ხატებს. ბევრი მათგანი ღვთის-მსახურების გათავებამდე მუხლ-მოდრეკილნი გულმოდგინეთ ლოცვილობენ. ღვთისმსახურების დროს მოსწავლენი ძლიერ იშვიათად გამოდიან გარეთ და ისიც მორიგე ქალის ნებართვით. ზოგიერთი მოსწავლენი სასწავლებლის უფროსი ქალის ან მასწავლებელი ქალების დანიშვნით კითხულობენ და გალობენ. წლის განმავლობაში ყველა მოსწავლენი ვალდებულნი არიან მიიღონ წმ. საიდუმლო ზიარება ორჯერ მაინც დიდი მარხვის პირველ და უკანასკნელ კვირაში.

მოწაფენი დგებიან დილით შვიდი საათის ნახევარზე; თითოეული მოწაფე ვალდებულია თავისი ლოგინი დაალაგოს. რვა საათის ნახევარზე მოწაფენი მიდიან სასადილო ოთახში, სადაც ამ დროს ისმენენ დილის ლოცვას და დღის სახარების შინაარს, რომელსაც კითხულობს მორიგე მოწაფე, შემდეგ სმენ ჩაის; ცხრა საათის ნახევარზე ყველა მოწაფენი იკრიბებიან თავთავიანთ კლასებში და თან მიაქვსთ წიგნები, რვეულები და სხვა საჭირო ნივთები. სწავლების დროს მოწაფეები ისმენენ გაკვეთილს დიდის ყურადღებით. გაკვეთილის დროს გარეთ გასვლა მოწაფეებს დაშლილი აქვსთ, თუ ამას აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს. გაკვეთილის გათავების შემდეგ ყველა მოწაფენი წყვილ-წყვილად დაწყობილნი გამოდიან კლასიდამ.

სასწავლებელში გაკვეთილები თავდება ნაშუადღევის პირველ საათზე. სწავლის გათავების შემდეგ ყველა მოწაფენი მიდიან სასადილო ოთახში, და კითხულობენ სადილის წინ წასაკითხავ ლოცვას და შემდეგ შეუდგებიან პურის ჭამას. სადილობის დროს მოწაფენი თავისუფლად ლაპარაკობენ ერთმანეთში, მაგრამ ისე წყნარად, რომ საზოგადო წესიერებაც დაცულია; ყოველივე სასადილო ნივთს მოწაფეები ეკიდებიან გაფრთხილებით და სიწმიდით. სადილის გათავების შემდეგ კითხულობენ სამადლობელ ლოცვას და შემდეგ მოწაფეები გამოდიან სასადილო ოთახიდამ.

სადილის შემდეგ საღამოს ხუთ საათამდე ეძლევათ თავისუფალი დრო, როცა მოწაფეები თავისუფალი არიან სავალდებულო მეცადინეობისაგან, ეს

*) იხ. «მწყემსი» № 17, 1894 წ.

თავისუფალი დრო თითქმის უდრის იმ დროს, რომელიც მოწაფეებმა გაატარეს მეცადინეობაში. ამ თავისუფალ დროს მოწაფეები ატარებენ წმიდა ჰაერზე, მათ ეძლევათ სრული თავისუფლება, ერთობიან ისეთი თამაშობით, რომელიც სავნებელი არ არის მათი ტანმრთელობისათვის. ზოგნი კი ამ დროს ჰკერავენ თავიანთ ტანთ-საცმელს, ან ქსოვენ წინდებს, ან რაიმე ხელს-საქმარს ამზადებენ, ან და ზოგი მათგანი კითხულობს წიგნთ-საცავიდამ მიცემულ წიგნს. საღამოს ხუთ საათზე იწყება მეცადინეობა; მოწაფები შეუდგებიან მეცადინეობას. მეცადინეობის დროს თუ რომელიმე მოწაფემ ვერ გაიგო გაკვეთილში რაიმე ადგილი, იგი მაშინვე მიმართავს მეჯერე მასწავლებელს, აგრეთვე უფრო კარგათ მოსწავლე ქალებიც ეწევიან თავიანთ სუსტ ამხანაგებს გაკვეთილების და საწერი სამუშაოს მომზადებაში; მაგრამ არას დროს არ უწერენ და არც თავის ნ წერიდგან გადააწერინებენ თხზულებას სხვაებს

სწორეთ საქები და საყურადღებოა I და II კლასის ახალგაზდა ქალების რიგ-რიგობით მეჯერეობა; ეს მოწაფეები რიგ-რიგობით მეჯერეობენ საწოლ ოთახებში, კლასებში და სასადილო ოთახში. საწოლ ოთახში მეჯერე მოწაფეები თვალ-ყურს ადევნებენ, რომ ლოგინები წესიერად იყოს დალაგებული, და რომ კლასში მზად ჰქონდეს ყველა მოწაფეს გაკვეთილისათვის საჭირო წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. გაკვეთილის გათავების დროს მეჯერე მოწაფეები ალაგებენ ადგილს; სასადილო ოთახში შლიან სუფრას და ამზადებენ პურის ჭამის დროს საჭირო ნივთებს; სადილის დროს თვითონ ამ მეჯერე მოწაფეთ მოაქვს პური სტოლზე. დილით და საღამოთი ჩაესაც ეს მეჯერე მოწაფენი ასმევენ სხვაებს. ნასადილებს და ჩაის გათავების შემდეგ მეჯერე მოწაფენი კრებენ ჭურჭლეულობას და ზოგიერთ პურის სასაჭმლო სამკაულებს და აძლევენ მოსამსახურეთ გასარეცხად და დასაწმენდათ და ზოგს თვითონ ალაგებენ შკაფებში. ეს სწორეთ მშვენიერი და საქები ჩვეულებაა მცხეთის საქალებო სასწავლებლის ახალგაზდა მოსწავლეთა შორის გავრცელებული; ამ ჩვეულებას სწორეთ ოჯახური ხასიათი აქვს და ფრიად სასარგებლოც არის მოსწავლე ქალებისათვის, როგორც მომავალი დედებისათვის ყოველივე ამების რიგიანად შესწავლა. ამგვარი მოქმედებით მოწაფე ქალები ეჩვევიან ერთმანეთის და საზოგადო საჭიროების სამსახურს; ამ ჩვეულლებით მოსწავლეთა გულში ძლიერდება გრძნობა კერძო პირთადმი პატივისცემისა, აგრეთვე სიყვარული საზოგადოებისა და საზოგადო დაწესებულებისა; აქვე ილვიძებს გრძნობა ერთმანეთის პატივისცემისა. მოწაფეთაგან მათ მეუფროსეთადმი პატივისცემით და კრძალვით მოპყრობა ყველასთვის თვალ-საჩინოა, კლასებში და სასადილო ოთახში მოსწავლე ქალები სისწრაფით უდგებიან თავიანთ მეუფროსეთ. კლას გარეთ, როგორც კი დაინახვენ მასწავლებელს, დამწკრივდებიან და დიდის მოწიწებით უკვრენ თავს. პანსიონში მცხოვრებ ქალებს ისე უყვარსთ თავი სასწავლებელი, რომ, ვგონებ, სრულებითაც არ უნდათ, რომ, სასწავლებელიდამ სადმე წავიდნენ სასეირნოთ. პანსიონიდამ ყმაწვილების წაყვანა შეუძლიათ მხოლოდ მშობლებს, ან ნათესავებს, მაგრამ იმ პირობით, რომ უსათუოდ დანიშნულს დროზე დაბრუნდნენ.

ამა წლის ივნისის თვეში ეგზამენები იყო დანიშნული ამ სასწავლებლის ყველა კლასების მოწაფე ქალთათვის. გამოსაცდელად დანიშნული იყო კამმისია ქართლ-კახეთის სამასწავლებლო რჩევისაგან.

ეგზამენატორები, რაც შეიძლებოდა, სასტიკად და ვრცლად კითხულობდნენ ყველა საგნებს; მაგრამ ამ სასტიკმა ეგზამენებმა უფრო კარგი შედეგი იქონია. რაც უფრო ვრცლად ჰკითხავდნენ ეგზამენატორები მოწაფეებს, ეს უკანასკნელი მით უმეტეს უფრო იჩენდნენ საგნების ცოდნას. თუმც მცხეთის საქალებო სასწავლებელს ჯერ კიდევ არავითარი უფლება არა აქვს მოპოებული და ირიცხება საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვში, მაგრამ ამ სასწავლებელში გადიან ძლიერ ბევრ საგნებს და ვრცლადაც, ზოგ საგნებიდგან დაწესებულზე უფრო მომეტებულს ასწავლიან.

მცხეთის დედათა სასწავლებელში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) სალმთო სჯულს (სალმრთო ისტორიას და კატეხიზმოს), 2) მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ღვთის-მსახურების წესს, 3) რუსულ ენას, 4) ქართულ ენას, 5) რუსულ სიტყვიერებას (ტეორიას და პრაქტიკულად არჩევენ რუსულს და ქართულს ენაზე ლიტერატურულ ნაწარმოებს), 6) გეოგრაფიას, 7) სამოქალაქო ისტორიას) საზოგადოს, რუსეთის და საქართველოსას), 8) არითმეტიკას, 9)

სლავიანურს და ქართულ საეკლესიო გალობას და 10) ხელსაქნარს.

რომ მკითხველმა კარგად შეიტყოს, თუ რა განათლებას იძლევა მცხეთის დედათა სასწავლებელი, საჭიროა ამ სასწავლებლის სამოსწავლო პროგრამმა შევადაროთ თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავ. პროგრამმას.

თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელში მცხეთის სასწავლებელში დადგენილ საგნებზე მომეტებულს გადიან ხუთ საგანს: (სლავიანურ ენას, ფიზიკას, მეტოდიკას, საეკლესიო ისტორიას და გეომეტრიას). მცხეთის დედათა სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში საღმრთო სჯულს უფრო შემოკლებით ასწავლიან, ვინემ თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში; პირველში უფრო ცოტა ლოცვებს ასწავლიან, და ძველი აღთქმის ისტორიიდგან უფრო ცოტას გადიან, მაგრამ ახალი აღთქმის ისტორიას კი ისე გადიან, როგორც თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელში. მცხეთის სასწავლებლის შემდეგ სამ კლასში საღმრთო სჯულის პროგრამმა იგივეა, რაც თბილისის ეპარქიალურ დედათა სასწავლებელში; მცხეთის სასწავლებლის მეოთხე კლასში გადიან ვრცელს კატეხიზმოს, თბილისის ეპარ. დედათა სასწავლებელში კი ამ საგანს ასწავლიან მეორე და მესამე კლასში.

მცხეთის დედათა სასწავლებელს მოსამზადებელი კლასის რუსული ენის პროგრამა ერთი და იგივეა, რაც თბილ. ეპარ. დედათა სასწავლებელში, მაგრამ, მცხეთის სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში ორჯელ მომეტებულ მასალას გადიან რუსულიდან, ვინემ თბ. ეპ. დედა სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში. გარდა ამისა მცხეთის სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებში რუსული ენის სწავლების დროს ხმაროობენ საუბრებს, სხვა და სხვა საგნების შესახებ იმ კითხვებით, რომელიც ნაჩვენებია ბ. გოგებაშვილის. „რუსკოე სლოვო“-ში და რადონეჟსკის „სოლნიშკო“-ში—სათამაშოებზე, ცხოველებზე და მცენარეებზე. ზოგიერთ ზეპირად დასწავლულ სტატიებს მოწაფეები სწერენ ზეპირად დაფაზე. ყველა ამ საშუალებებით მოწაფეები იძენენ ბევრს სიტყვებს და მთელ წინადადებას რუსულს ენაზე. გამოცდის დროს ეგზამენატორები გაკვირვებული იყვნენ მოსამზადებელი და პირველი კლასის პატარა მოწაფეების მიგებით რუსულს ენაში; მოწაფეები კითხულობდენ რუსულად ჩქარა და გაგებით, ზეპირად დასწავლულ სტატიებს და ლექსებს, ზეპირად კითხულობდნენ რუსულად და ქართულად დიდ ლოცვებს, მაგალითად 50 ფსალმუნს და სიმბოლო სარწმუნოებას. თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში კი მხოლოდ პირველი კლასიდგან იწყება რუსულს ენაზე კითხვა და წაკითხულის მოყოლა და ზოგის ლექსების ზეპირად სწავლება.

(შემდეგი იქნება)

---

† ნეკრელოგი.

ამა წლის ივლისის ოც-და-ცხრას ახალ-სენაკში გარდაიცვალა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ევგენი ვასილის ძე მამფორია. ევგენი მამფორია სასულიერო სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ მთავრობისაგან განწესებულ იქმნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. განსვენებულმა ამ უკანასკნელ ჟამამდე პირნათლად შეასრულა ოც-და-ერთი წელიწადი მასწავლებლობის სამსახურში. განსვენებული საზოგადოდ ყველას პატივისმცემელი და გულკეთილი იყო, იგი ეწეოდა ყველას და განსაკუთრებით ღარიბ მოსწავლე შეგრდებს, რომელნიც იმისაგან იღებდნენ შემწეობასა და თვალ-საჩინო საშუალებას სწავლისათვის. ოც-და-ერთის წლის უანგარო სამსახურით ყველასნათლად დაუხატა განსვენებულმა, რომ თუმცა-ღა მასწავლებლობა დიდი მოვალეობაა (და ისიც ოც-და-ერთი წელიწადი), მაგრამ განსვენებული ამ დიდ შრომას, სრულიად არ უფრთხოდა და რითაც შეეძლო, პირნათლად ასრულებდა ამ მძიმე და რთულს მოვალეობას. ამ გვარ კეთილისა და ნამდვილის ხასიათის და ღვთის სათნო ადამიანის უდროოდ დაკარგვამ ყველას გული დასწყვიტა. ევგენის უდროოდ დაკარგვას სწუხს არა მარტო სამეგრელოს სამღვდელოება, არამედ ყველა ის ინტელიგენტთაგანი, ვინც-ქი ცოტად თუ ბევრად იცნობდა განსვენებულს. მდაბიო ხალხიც აფასებდა განსვენ-

ბულს, რადგანაც ეეგენის მოძღვარიეთ ხშირად უყვარდა იმათთან საუბარი სწავლა-ზნეობის შესახებ. თამამად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს მოაკლდა ერთი ღირსეული მასწავლებელი. 31 ივლისს მიცვალებულის გვამი გაასვენეს დასაკრძალავად სოფ. შვანაში. (იმერეთშია) ახალ-სენაკის საზოგადოება და მასთან ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული ხალხით სავსე იყო განსვენებულის ეზო. საათის პირველზე ამ დიდძალმა ხალხმა, თითქმის, ორი ვერსის მანძილზე გააცილა ცხედარი. შემდეგ გამოთხოვებისა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს: მღვდელმა ვასილ მხეცურიანმა, აზნაურმა ანდრონიკე სალაყაიამ, ტ. კ. და აქვსენტი სახოკიამ. სიტყვებში ნათლად იყო დახატული, თუ რა სპეტაკ-ნათელი ლამპარი გაუქრა სამეგრელოს და და მის ნორჩ ახალ-თაობას და მეტადრე ახალ-სენაკსა და მისს სასულიერო სასწავლებელსა... ამ დროს მრავალ კაცსა და ქალსა თვალთაგან ლაპა-ლუპით ცრემლები ჩამოდიოდათ და მცხარედ ქვითინებდნენ. 3 აგვისტოს განსვენებული დაასაფლავეს თავის სოფელ შვანთაში. სხვათა შორის განსვენებულის კუბოს ამკობდა ახალ-სენაკელ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთაგან გვირგვინი შვენიერის ხელოვნებისა შემდეგის წარწერით:

„სული გვიწუხს, გულში ზღვა სდუღს,
თვალთ გვერევა ცრემლთა ღვარი,
ვის შევსტიროთ: ცას თუ, მიწასა?
მოკვდა,—შველა არსად არი!..»

ტრიფონ კალანდარიშვილი.

საისტორიო მასალა.

სოფელი ახმეტა (თიანეთის მაზრა).

(დასასრული *)

ამ სოფელს ახმეტაში გაგონილი მქონდა ჩოლოყაშვილების კარის ეკლესიის სახელი, რომელსაც ჯვარპატიოსნის ეკლესიას უწოდებენ. ამის გამო განვიზრახე ნახვა ამისი. ეკლესია არის პატარა. შიგნით საკურთხეველი ცის ფერის ზეთიანის წამლით არის შეღებილი და ვარაყიანი ვარსკლავები ასხედს. კანკელი არის ფრიად მშვენიერი. აღსავლის კარებები ჩუქურთმით არის ამოჭრილი. მარჯვნივ მაცხოვრის ადგილას არის დასვენებული პატიოსანი ჯვარი სიმაღლით ერთს არშინზედ მეტი და სიგანითაც სამი მეოთხედი არშინისა. წინა პირი აქვს მოოქროვილი ვეცხლით მოჭედილი და არიან შემდგომნი სურათნი: 1) შუაში ჯვარცმა უფლისა. 2) ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, 3) იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლა, 4) ნათლის-ღება ქრისტესი. 5) მირქმა უფლისა. 6) შობა იესო ქრისტესი. ღვთისმშობელს გვერდით ყრმა უწევს. თავით მოგვნი სდგანან თაყვანის-საცემლად და ორნი ანგელოსნიც. 7) ხარება ღვთისმშობლისა. 8) მიძინება ღვთის-მშობლისა. 9) ფერისცვალება ქრისტესი. აქ მოციქულნი არიან ამათ ზევით ქრისტე და აქეთ იქით მოსე და ილია. 10) სულის წმიდის მოსვლა. 11) აღდგომა ქრისტესი და 12) ამაღლება უფლისა. ამ სურათებს ზოგთ ხუცურად და ზოგთ ქართულად აქვთ წარწერა, უკანა პირი ჯვარისა ვერცხლით არის შეჭედილი.

მარცხნივ აღსავლის კარებისა არის ღვთისმშობლის ხატი მჯდომარე, ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი, აქეთ-იქით მთავარ ანგელოზი უდგანან. ღვთისმშობელს გვირგვინში 4 ფირუზი და იაგუნდი უზის. შუბლზედ კი აკლია ერთი თვალი და ერთიც თვით გვირგვინში. მთავარ-ანგელოზებს გვირგვინებსაც ექვსი თვალი აკლია და დანაშთენი თვლები ზოგი ფირუზია და ზოგი მარგალიტი.

1) ტრაპეზის ჯვარი არის ვერცხლისა ქართული ხელოვნებით ნაკეთები. წინაპირზედ ჯვარცმა არის და უკანა პირზედ წმიდა გიორგი. ტარი აქვს მრავალი და შუაში ამ ტარს ბურთი. ტარი და ბურთიც ვერცხლისანი არიან. ბურთზედ არის წარწერა: ქ. შენ უძლურთა ხელის ამპყრობელო, რომელი უძღვი მოსავთა შენთა ცხოველსმყოფელო ჯვარო, ქრისტიანეთა შესავედრებელო, მინდობითა შენითა გამოვიხსენ (აქ ბურთი გაჭრილია და სიტყვა არა სჩანს) შვილი პაატა და შემოგწირე წმიდის გიორგის შაროსთავისას, რათა მრავალ-ჟამიერ მყო აქცა და საუკუნესა მას მიმიძღვე ცხოვრებად საუკუნოდ: ვინც ამოიკითხვიდეთ, შენდობას ბრძანებდეთ. ქორონიკონს უკვ. (1738).

*) იხ. «მწყემსი»-ს № 10 1894 წ.

2. ტრაპეზის შანდანი ვერცხლისა წარწერით: შემოგწირე ჩოლოყაშვილმა სახლთხუცესმა გრიგოლ ჯვარპატიოსანს, სულისა ჩემისა მეოხად. აგვისტოს **იდ.** ქორონიკონს **უმდ** (1756).

3) მეორე პატარა შანდანი ვერცხლისა.

4) ვერცხლის საცეცხლური.

5) ბარძიმ-ფეშხუმი ორი ხელი. პირველი ვერცხლისა ოქროს წყალში დაფერილი და მეორე სადა ვერცხლისა.

6) ორი საზედაშე ვერცხლისა შეწირული კნეინა ელისაბედ ჩოლოყაშვილისაგან.

7) პატარა საზედაშე ვერცხლისა შეწირული კნეინა ანასტასია ჩოლოყაშვილისაგან.

8) ვერცხლის თასი პაატა, გუსიშვილისაგან შეწირული.

9) ვერცხლის კოვზი წარწერით: ქ. საქართველოს მეფის ასული ეკატერინა.

10) ტრაპეზის ჯვარი ვერცხლისა ფინიკტებიანი ოქროს წყალში დაფერილი შემდგომის წარწერით: წელსა **ჩყიზ** მაისის **იბ.** შეიწირა ცხოველს-მყოფელი ესე ჯვარი ახმეტის ცხოველს-მყოფელის ჯვარის ეკკლესიისადმი მეფის ირაკლი მეორის ასულის ეკატირინეს მიერ სამეოხოდ თვისად და შვილთა თვისთა სადღეგრძელოდ. თვითეულ სიტყვას შუა უზის ყვავილი.

კარის ბჭეზედ არის დატანებული მარმარილოს ქვა წარწერით: ნებითა ღვთისათა და შეწევნითა ცხოველს-მყოფელის ჯვარისათა ჩვენ ჩოლოყაშვილმან სახლთ ხუცესმან ქიზიყის მოურავ აბელის ასულმან მარიამ და ძეთა ჩემთა გივმან, ქაიხოსროომ და აბელ აღვაშენეთ ეკკლესია პატიოსანის ჯვარისა და შევამოწმეთ შიგნით და გარეთ უტოს შინა და თანა აღვაშენეთ ციხეცა ყოველითა ქმნილ კეთილობითა, რათა გვფარევდე ცხოველო ჯვარო აქაცა და მერმესაცა მეუღლით, ძით და ასულით და მომავალთაცა ჩვენთა ჟამთა მეფობასა შინა ირაკლისასა კახთა ზედა ძისა თეიმურაზისა. ქრისტეს აქეთ **ჩლნვ.** ქორონიკონს **უმდ.**

ფიჩხოვანი.

ფიჩხოვანი ეწოდება ტყიან ადგილს ზემოალვნის მახლობელ მდებარეს. ფიჩხოვანის მაღალ გორაკაზედ არის აღშენებული პატარა ეკკლესია, რომელიც შიგნით მთლად შეურყეველია. კანკელი ქვითკირისა სდგას, თუმც არაც ერთი ხატი კი არ მოიპოვება, ტრაპეზი ერთის თლილის ქვისაგან ყოფილი, რომელიც გადაქცეულია, ვგონებ, რომ უთხრიათ და უძებნიათ განძი. ტრაპეზს უკან არის მაღალი დასაჯდომელი. საკურთხევლის გარეთ, ჩრდილოეთის კედელთან არის საფლავი, ზედ ქვა აძევს და სახე მღვდელ-მთავრისა არის გამოსახული. მე ვგონებ აღმაშენებელი უნდა იყოს ამ ტაძრისა. მისავალ კარის ბჭის მარჯვენივ არის ქვა და ზედ ჯვარი გამოხატული. კარის ბჭეს თავზედ აძევს თლილი ქვა შემდგომის მხედრულის წარწერით: ქ. ეჰა შენ საზიერო ღმერთო და ყოველთა კეთილთა მიზეზო. შენმიერითა შეწევნითა ჩვენ ხარჭაშნელ ეპისკოპოსმან და მოძღვართ-მოძღვარმან პართენოზ და თანა შემწეობითა ძმისა ჩვენისა პეტრესითა, აღვაშენეთ ეკკლესია ესე მეორედ მოსვლისა, სულთა ჩვენთა საოხად და ძმათა და ძმისწულთა ჩემთა საძვალეთი და თვით მეცა მდებარე ვარ ადგილსა ამას და განვედ სოფლისა ამისაგან მაისის **კ** ქორონიკონს **უა** (1713). მორწმუნენო, ჩვენთვის შენდობა ჰყავეთ ღვთის სიყვარულისათვის. ჩრდილოეთის მხრივ მაღალ პატარა სენაკია, რომელსაც ორი პატარა სარკმელი აქვს დატანებული. ერთი თვით ეკკლესიაში დაიყურება. ამ სენაკს შუაში ქვევრის პირი აქვს დაყოლილი და ძირს ოთახში ჩაიყურება.

მინამ ამ ეკკლესიაში ავა, ძირს მშვენიერი წყარო არის გაკეთებული ქვითკირით და ალებასტრით ვალესილი, ქვა აქვს დატანებული და აქვს წარწერა: უფალო ჩვენო, რომელნიცა ადგილსა ამას მიემთხვევნეთ და წყაროსა ამისაგან სმიდეთ მოიხსენებდეთ ხარჭაშნელ მოძღვართ მოძღვარსა პართენის რომელმან აღვაშენე (აქ ქვა ამოტეხილია და სიტყვები აღარ ყოფობა) თვისთა ადგილი ესე საზრდელისა მოსარეწელად.

უფალო დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა უღირსი პართენი, ხოლო ძმა მისი პეტრე ღირს ჰყავ ადგილისა ამის დამკვიდრებად შვილითი შვილამდე უკუნისამდე.

შენიშვნა: როგორც გადმოცემით მითხრეს, ეს მღვდელმთავარი პართენ ვითომც იყოს ხორხლელი ახნაურშვილთაგანი გვარათ პეტრიაშვილი.

მღვდელი მ. ხელაშვილი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

უწმიდესი სინოდის უქაზით ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში უნდა მიეღოთ 40 მოწაფე. სამი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებიდამ 74 მოწაფე იყო დანიშნული სემინარიის პირველ კლასში მისაღებად. ამ 74 მოწაფეში ეგზამენის დასაჭერად გამოცხადდა 64 მოწაფე. ამათში ეგზამენი დაიჭირა 39. დანარჩენს უარი გამოეცხადა ზოგს წლოვანების მიზეზით და ზოგმა შესაფერი ეგზამენი ვერ დაიჭირა. მისაღები მოწაფეების გამოცდა გათავებული იყო, როცა უწმიდესი სინოდიდამ მოვიდა ცნობა, რომ პირველ კლასში შეიძლება 10 მოწაფე კიდევ მიიღოთო. ამის გამო ზოგიერთი მიუღებელი მოწაფეების მშობლებმა არა ერთ გზის სთხოვეს ტელეგრამმით უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს, რომ მიეღოთ ისეთი მოწაფეები, რომელთაც გამოცდის დროს ორი მიიღეს, მაგრამ ამის პასუხად თითქმის ყოველთვის უარი მოსდიოდათ მთხოვნელებს. სამღვდელოების კრების თავმჯდომარემ კრების და თავის სახელით სთხოვა სინოდის ობერ-პროკურორს, რომ ამ შემთხვევაში სინოდს აღმოეჩინა თავაზიანობა დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებისათვის და მიეღოთ ამ ათ მოწაფეში ისეთები, რომელთაც გამოცდის დროს ორი მიიღეს. უწმიდესმა სინოდმა შეიწყნარა სამღვდელოების თხოვნა და მიღებულ იქმნა კიდევ ათი მოწაფე.

* * *

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრება დანიშნულია მომავალი ნოემბრის თვის 23, 24 და 25 რიცხვებისათვის.

* * *

უწმიდესი სინოდის უქაზით ამ სამოსწავლო წლიდამ დასავლეთის საქართველოს ყველა ოთხ-კლასიან სასწავლებლებში შემოღებულ იქმნა ბერძნული ენა. წელს ბერძნული ენის სწავლება დაიწყეს მეორე კლასიდამ. ბერძნული ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დანიშნულ იქმნა ქართული ენის მასწავლებელი ნადეორნი სოფეტ. ესტატე ბესარიონის ძე ღამბაშიძე, რომელიც ამ ენას ასწავლიდა 1878 წლიდგან 1884 წლამდე.

* * *

უწმიდესი სინოდისაგან ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის სახლის და სემინარიის ინსპექტორის სადგომის დასაქირავებლად დანიშნული იყო 1000 მანეთი. მაგრამ არქიერის გორაზე სემინარიის და ამ სემინარიის ინსპექტორის სადგომად დაქირავებულ იქმნა სახლი 600 მანეთად.

* * *

18 სექტემბერს, დღით კვირას, დანიშნული იყო აქტი ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნისა გამო. ამ დღეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოველად სამღვდელო გაბრიელი. აქტზე დაესწრო ყოველად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი და მრავალი საპატიო პირნი. წირვის გათავების შემდეგ ყოველად სამღვდელო, სამღვდელოება და მრავალი საზოგადოება გაემგზავრენ ეკკლესიის მახლობლად მდებარე ციხეში, სადაც მათ მეუფებას სურს სასულიერო სემინარიისათვის ახალი შენობის აგება. აქ მათმა მეუფებამ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი სასულიერო სემინარიის დაარსებისა გამო. პარაკლისის გათავების შემდეგ ყოველად სამღვდელო გაბრიელმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ხსენებული ციხის მნიშვნელობა. აქო, ბრძანა ყოველად სამღვდელომ, ჩვენი წინაპარნი სისხლს ანთხევდნენ სარწმუნოებისათვის და შეუპოვრად ებრძოდნენ ქრისტიანობის დაუძინებელს მტრებს მოსლემანთ და სპარსელებს. დღეს იქით ამ ადგილზე აშენდება სასულიერო სემინარია, რომელიც თავის მოწაფეების მეოხებით სულიერ ვანათლებას მოჰფენს ხალხში. შემდეგ მათმა მეუფებამ მიჰმართა მამაშვილური დარიგებით ახლად დაარსებული სემინარიის პირველ კლასში მიღებულ მოწაფეთ, რომელთაც გონიერული დარიგება მისცა. ბოლოს მათი მეუფება და შეკრებილი საზოგადოება გაემგზავრენ ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენობის ერთ დიდ ერცელ ზალაში, რომელიც მშვენიერად იყო მორთული სხვა-და-სხვა ყვავილებით. ზალაში პირველი ადგილი დამზადებული იყო ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორისათვის. როცა მათი მეუფებანი

შებრძანდენ ზალაში, სასწავლებლის მოწაფეთაგან შემდგარმა მგალობელთა გუნდმა ბ. კორნელი ლ. მაღრაძის ლოტბარობით იგალობა «დღეს მადლმა სულისა წმიდისამან შეგვკრიბა ჩვენ». ამის შემდეგ ავიდა კათედრაზე ახლად დაარსებული სემინარიის ინსპექტორი ბერ-მონაზონი მ. დიმიტრი და წაიკითხა უქაზი უწმიდესი სინოდისა ქუთაისში სემინარიის დაარსების შესახებ. ამ უქაზში მოხსენებული იყო ყოველად სამღვდელო გაბრიელის შუამდგომლობა მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ელადიმირის წინაშე, ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ. უქაზის წაკითხვის შემდეგ მგალობელთა იგალობეს სხვა-დასხვა სასულიერო საგალობელნი. შემდეგ სემინარიის ინსპექტორმა მ. დიმიტრიმ წარმოსთქვა ერცელი სიტყვა სასულიერო სემინარიის მნიშვნელობაზე საზოგადოდ და კერძოდ დასავლეთის საქართველოს სამღვდელოების და საზოგადოებისათვის *). ამ სიტყვის გათავების შემდეგ მგალობელთა იგალობეს «ღმერთო ჰფარავდე მეფეს». აქტის დასრულების შემდეგ ყოველად სამღვდელო გაბრიელი და სხვა-დასხვა უწყებათა წარმომადგენელნი გაემგზავრნენ მათი მეუფების სადგომში, სადაც მიპატიჟებულ პირთათვის საუზმე იყო გამართული. ნაშუადღევის 3 საათზე საუზმე გათავდა, სტუმრები გამოეთხოვენ ყოველად სამღვდელო გაბრიელს და წავიდნენ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

სასალხო საკითხავი მოთხრობა დაბადებიდამ

(ბიბლიიდამ)

იოსებ მშვენიერი.

ძველ დროში, ორი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, აღმოსავლეთისაკენ, ქანანის ქვეყანაში, სცხოვრებდა ერთი კეთილ-მორწმუნე კაცი, სახელად იაკობი, რომელსაც ჰყავდა თორმეტი შვილი. ყველა შვილებში მოხუცებულ მამას მომეტებულად უყვარდა იოსები, როგორც უნცროსი შვილი. ხშირად ეალერსებოდა მასს და სხვა შვილებზე უკეთ აცმევდა. ამის გამო ძმებმა იოსები შეიძულეს, აუგებდენ მას და ყოველ შემთხვევაში ცდილობდნენ, როგორმე მ. მისათვის შეეძულებინათ იგი.

ერთხელ იოსებმა სიზმარი ნახა: ვითომ იგი და მისი ძმები მინდორში პურის ძნებს ჰკრავდნენ, იოსების ძნა სწორედ იდგა, ძმების ძნები გარს ეხვიენენ და თაყვანსა სცემდენ მასს. როდესაც იოსებმა ეს სიზმარი თავის ძმებს უამბო, იგინი კიდევ უფრო გაჯავრდნენ. ნუ თუ, ამბობდნენ იგინი, შენ ფიქრობ, რომ ოდესმე იმეფებ ჩვენზე, ანუ დაგვიმორჩილებ ჩვენ? ცოტა ხნის შემდეგ იოსებმა მეორე სიზმარიც ნახა: ვითომ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი თაყვანს სცემდნენ მასს. იოსებმა ეს სიზმარიც უამბო მამას და ძმებს. ეხლა აღარც მამას მოეწონა ეს სიზმარი და ჰკითხა იოსებს, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი? ნუ თუ მე, დედა შენი და ყველა შენი ძმები ოდესმე თაყვანს უნდა გცემდეთ შენ? ამის შემდეგ ძმებმა უფრო შეიძულეს იოსები, მამამ კიდევაც დაუშალა იოსებს ამ სიზმრების გახსენება, თუმცა თვითონ იაკობს კი არ დაუვიწყნია ეს სიზრმები და ხშირად ფიქრობდა, თუ რას მოასწავებდა იგი.

იაკობი თავის ოჯახით, როგორც მაშინდელ ხალხთა უმეტესი ნაწილი, შინაურ ცხოველების მოშენებას მისდევდა: იგინი სცხოვრებდნენ კარვებში, ჰყავდათ ჯოგები შინაური ცხოველებისა და ერთი ადგილიდამ მეორეზედ გადადიოდნენ. ყველაზე მდიდარი ის იყო, ვისაც მომეტებული ჯოგი ჰყავდა. იაკობს ჰყავდა დიდი ჯოგი. თვითონ იგი ჩვეულებრივ ერთ ადგილზედ დიდხანს რჩებოდა ხოლმე; მაგრამ მისი უფროსი შვილები კი ძლიერ შორს წავიდოდნენ ხოლმე თავიანთი ჯოგით და ეძებდნენ უკეთეს საბალახოს. ერთხელ მოხუც მამას დიდ-ხანს არავითარი ცნობა არ მიუღია თავისი შვილების შესახებ, მამა შესწუხდა და უთხრა იოსებს, რომელიც სახლში იყო მამასთან: წადი, ამა და ამ ადგილას უნდა იყვნენ შენი ძმები; გაიგე, ხომ კარგად არიან იგინი, შემდეგ დაბრუნდი და ყველაფერი მიამბე. იოსებმა მიუგო: ეხლავე წავალ და მაშინვე გაემგზავრა.

*) ამ სიტყვას ჩვენ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

იოსები მივიდა დანიშნულ ადგილს, მაგრამ ძმები იქ აღარ დახვდნენ, ისინი სხვა მხარისაკენ გამგზავრებულიყვნენ. იოსები გაჰყვა ძმების კვალს და მალე მიაგნო ისინი. ძმებმა შორიდგანვე დაინახეს მომავალი იოსები და ერთმანეთს უთხრეს: აი აგერ მოდის ჩვენი მესიზმრე, მოვჰკლათ იგი, მამას კი ვუთხრათ, ვითომ გარეულმა მხეცმა შესჭამა იგი მინდორში, მაშინ ვნახოთ როგორ ახდება მისი სიზმრები! მაგრამ ერთმა ძმამ, სახელად რუბიმმა სთქვა: არა, ნუ მოვკლავთ ძმას, ნუ გავისვრით ხელს მის სისხლში, უკეთესია ჩავაგდოთ იგი ერთ რომელიმე ჭაში, რომელიც ამ უდაბნოში ბევრია. რუბიმი ამას განგებ ამბობდა: იგი ფიქრობდა შემდეგ ამოეყვანა ძმა ჭიდამ და მამასთან წაეყვანა. მიუახლოვდა თუ არა იოსები ძმებს, ისინი ეცნენ მას, გააძვრეს ფერადი ტანთსაცმელი და თვითონ ის კი ღრმა ჭაში ჩააგდეს. ჭაში ამ დროს წყალი არ იყო, იგი მთლად ამომშრალი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ძმები სადილად დასხდნენ. მათ უცებ შენიშნეს, რომ მათ მახლობლად მოდიან აქლემებით ისმაიტელი ვაჭრები, რომელთაც მიჰქონდათ სავაჭრო ეგვიპტეში, ამ დროს ერთმა ძმათაგანმა, სახელად იუდამ, სთქვა: რა სასარგებლოა ჩვენთვის მის სიკვდილი? ნუ გავიმეტებთ მას სასიკვდილოდ, რაც უნდა იყოს, იგი მაინც ჩვენი ძმა არის; უკეთესია ამ ვაჭრებს მივყიდოთ იგი. ძმები დათანხმდნენ, ამოიყვანეს იოსები ჭიდამ, შეაჩერეს ვაჭრები და მიჰყიდეს მათ იოსები ოც ვერცხლად. ამ დროს რუბიმი იქ არ ყოფილა. ის დროებით სხვაგან წასულიყო, როცა მობრუნდა და გაიგო, რომ იოსები ძმებს გაუყიდნიათ, მან დაიწყო ტირილი და ძმებს ესაყვედურებოდა, მაგრამ ამით რაღას მოეხმარებოდა; ეხლა უნდა ეზრუნათ მოხუც მამაზედ, როგორ უნდა გაემჟღავნებიათ მისთვის ძისი საყვარელი შვილის დაღუპვა. იაკობის მოსატყუებლად შვილებმა აიღეს იოსების ტანისამოსი, ამოსვარეს იგი თიკნის სისხლში, შემდეგ მიუტანეს მამას და უთხრეს: აი ეს ტანისამოსი ჩვენ უდაბნოში ვიპოვეთ, იოსების ხომ არ უნდა იყვეს? იაკობმა მაშინვე იცნო თავისი საყვარელი შვილის ტანისამოსი, დაიწყო მწარედ ტირილი, შამოიხია ტანისამოსი და სთქვა: დიახ! სწორეთ იოსებისაა ეს ტანისამოსი, სჩანს, ველურ მხეცს დაუგლეჯია იგი. მტირალ იაკობს შამოესივნენ ვაჟები, ქალები და ყველა შინაყმები და ცდილობდნენ რითიმე ენუგეშებინათ იგი; მაგრამ სულ უბრალოდ. იაკობი არ ნუგეშობდა და დიდხანს სტიროდა თავისს საყვარელ შვილს.

ისმაიტელებმა მიიყვანეს იოსები ეგვიპტეში და იქ მიჰყიდეს ეგვიპტის მეფის ფარაონის ერთს კარის კაცს პოტიფარს. იოსების მისვლის შემდეგ ღმერთმა აკურთხა პოტიფარის სახლი. პოტიფარმა მალე შეიყვარა იოსები და მისცა სამართავად მთელი თავისი ოჯახი, მთელი ქონება და სრულიად დაენდო მას. იოსები იყო ახალ გაზდა, კარგი მოყვანილი ტანისა და ლამაზი სახის კაცი. პოტიფარის ცოლმა მიაქცია მას ყურადღება, შეიყვარა იგი და ძლიერ დაჟინებით სთხოვდა, რომ სამაგიერო სიყვარული გამოეცხადებინა. იოსები ყოველთვის ერიდებოდა მის ალერს და ხშირად უპასუხებდა: როგორ შემიძლია ეგეთი მოქმედება? შენმა ქმარმა, ჩემმა უფალმა დამაყენა მე ოჯახში ყველაზედ უფროსად და ჩამაბარა მე მთელი ოჯახობა, თავისი მეუღლის გარდა; თუ შენ დაგიჯერებ და მას მოვატყუებ, ეს დიდი ცოდვა იქნება ღვთის წინაშე. ეგვიპტელმა ქალმა გადასწყვიტა სამაგიერო გადაეხადნა იოსებისათვის, მას უნდოდა ცილი დაეწამებია იოსებისათვის ქმრის წინაშე. იმან მიიღო შეურაცხყოფილის სახე და შესჩივლა პოტიფარს, რომ იოსებს უნდოდა ჩემი შეცდენა და ძალით ცოდვაში ჩაგდება. გაიგონა თუ არა ეს პოტიფარმა, ძლიერ განრისხდა და მაშინვე უბრძანა ჩაეგდოთ იოსები ბნელ სატუსაღოში, სადაც იმყოფებოდნენ მეფის წინაშე დამნაშავენი.

უფალმა ღმერთმა არ დასტოვა უნუგეშოდ იოსები საპყრობილეში. საპყრობილის ყარაულების უფროსმა შეიყვარა იოსები და მიანდო მას ტუსაღებისა და საპყრობილის თვალ-ყურის გდება. ამ დროსვე საპყრობილეში დაამწყვდიეს მეფის ორი მოსამსახურე: მეპურე და მეღვინე. მათ მეფე განრისხებოდა და ებრძანებინა ჩაეგდოთ იგინი სატუსაღოში; საპყრობილის უფროსმა კი იგინი იოსებს მიაბარა. ერთხელ დილით შევიდა მათთან იოსები და ძლიერ შეწუხებულნი ნახა ისინი. რა არის მიზეზი თქვენი დღევანდელი მწუხარებისა? ჰკითხა მათ იოსებმა. ჩვენ ვნახეთ სიზმრები, მიუგეს მეღვინემ და მეპურემ, მაგრამ არა გვყავს აქ იმისთანა კაცი, რომელსაც შეეძლოს ამ სიზმრების ახსნა. სიზმრები ღვთისაგანაც იქმნებიან? მითხარით თქვენი სიზმრები, უთხრა მათ იოსებმა. მეღვინემ დაიწყო: მე ვნახე სიზმარში ვაზი, რომელსაც სამი ლერწი ება. ვაზი გაიზარდა, გამოიღო ნაყოფი და დამწიფდა. ხელში მეჭირა მეფის თასი, ავიღე ყურძნის მტევნები.

ჩაეწურე თასში და მიეართვი ფარაონს. აი შენი სიზრმის მნიშვნელობა, მიუგო იოსებმა: სამი დღის შემდეგ, მეფე მოგიგონებს შენ და ხელ-ახლად მოგცემს შენ მელვინობას: შენ უწინდებულად მიართმევ მეფეს ღვინიან თასს; მაგრამ გახსოვდეს, როცა შენი სიზმარი ახდება და მეფე თავის მოწყალებას ხელ-ახლად მოგანიჭებს, ნუ დაგავიწყდები მე; შეაბრალე ჩემი თავი მეფეს და ეცადე გამოიყვანო მე აქედან, რადგანაც მე სრულიად უმართლოდ ვიტანჯები აქ. ამის შემდეგ უამბო თავისი სიზმარი მეპურემ: მე მეზმანა, ვითომც თავზე მედგა სამი პურიანი კალათი. ფრინველები მოფრინდნენ და ჰკენკავდნენ პურსა. იოსებმა უთხრა მეპურეს: აი რას ნიშნავს შენი სიზმარი: სამი კალათი—ეს სამი დღეა, სამი დღის შემდეგ შენ ჩამოგკიდებენ ხეზედ, ფრინველები მოფრინდებიან და დაუწყებენ შენ გვამს კენკას. როგორც სთქვა იოსებმა, ისე ასრულდა. სამი დღის შემდეგ ხელმწიფის სასახლეში დიდი ლხინი ქონდათ მეფის დაბადების დღესასწაულობისა გამო. ამ დღეს ფარაონმა მოიგონა თავისი უწინდელი მოსამსახურენი. მელვინე შეწყნარებულ იქმნა და ხელ-ახლად მიანიჭეს მას უწინდელი მისი თანამდებობა. მეპურე კი ხეზე ჩამოახრჩეს.

(შემდეგი იქნება).

რედაქციის პასუხი.

გ ო ნ ი ა ს. მძახლების ნათესაობის შესახებ კითხვის განმარტება წაიკითხეთ ჩვენგან შედგენილ წიგნში, რომელიც უველა ეკლესიებს დაერიგა 1876 წელში.

ტ. სენაკელს. თქვენგან მოცემულ კითხვების განმარტებას მონახავთ ჩვენგან შედგენილ ზემოხსენებულ წიგნშივე.

მთ. გ. მე-ჭს. თუ კონდაკში სწერია, რომ მღვდელს არ შეუძლია სთქვას „მშვიდობა ყოველთა“, როდესაც მღვდელ-მთავარი ბრძანდება ეკლესიაში, ნუ იტყვიან, და თუ არ სწერია, საიდან მოიგონეს ეს და ან რაზედ არის დაფუძნებული?..

ვ რ ა ვ ა ლ თ ა. პირველ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიწეროთ ორმოცამდის სხვა-და-სხვა იაფ ფასიანი ხატები. ამას ბევრი ხარჯი არ მოუნდება და შემდეგ გაუიდვისა შეიძლება დაბარება მეორეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი და შეუძლებელია უველას ნისია გაუგზავნოთ და ისიც ჩვენის ხარჯით!.

რედაქტორი.

შეწირულებანი.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის «მწყემსის» საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩვ[illegible] მრეკლოთაგანს ქ. ქუთაისის მოვაჭრეს ალექსანდრეს ფარ[illegible]ოზ ბეჩუს იგივე ბეჭანის ძეს გაბუნიას, რომელმანც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ბანძა შაორი-კარის წმიდის გიორგის ეკეკლესიას წმიდა გიორგის ერთი ბრონძის ხატი, ლირებული შვიდი მანეთისა, ორი დიდი სასანთლე, ლირებული ოცდა-ხუთი მანეთისა, მაცხოვრის ერთი ხატი, ლირებული ხუთი მანეთისა, ერთი წმიდა ილიას ხატი, ლირებული ათი მანეთისა, სულ ნიკოები, ლირებული ორმოცდა შვიდი მანეთისა.

მღვ. ბესარიონ გაბუნია.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთ „მწყემსის“ საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ სუხუმის ეპარქიის ბაკუვის სოფლის მღვდელს იოანნე ბერულავას, რომელმაც 27 ამ აგვისტოს ინახულა ჭრწმუნებული ჩემდამო სამრეკლო სკოლა, მისცა შეგირდებს მამა-შვილური დარიგება და სკოლას შესწირა ხუთი მანეთი ფული.

მღვ. დიმიტრი ბერულავა.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ ღამბაშიძე. *Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Октября 1894 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.